



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 12

26/01/2018

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის

№46/104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა)“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №46/104 განკარგულებაში და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო